



შპს მეგაკო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა	22
4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში	22
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი	22
6. ძირითადი საშუალებები	28
7. საინვესტიციო ქონება	29
8. აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები	29
9. არამატერიალური აქტივები	31
10. გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები	31
11. გაცემული სესხები	31
12. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	32
13. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (ნეტო)	32
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33
15. სესხები	33
16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	34
17. ანარიცხები	34
18. შემოსავალი	35
19. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	36
20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	37
21. ფინანსური ხარჯი (ნეტო)	37
22. სხვა მოგება (ნეტო)	37
23. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	38
24. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	38
25. ფინანსური რისკების მართვა	38
26. კაპიტალის მართვა.	43
27. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	44
28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	45
29. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	46
შპს „მეგაკო“-ს კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)	47

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს “მეგაკო”-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “მეგაკო”-ს (შემდგომ ტექსტში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ, 7-47 გვერდებზე).

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

დაკავშირებული კომპანიის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფის სოლიდარული პასუხისმგებლობა. ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაზე, რომელშიც მოცემულია დაკავშირებული მხარის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ ნაკისრი სოლიდარული პასუხისმგებლობის დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მიერ 2021 წლის 13 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 47-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ „სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადირიჯხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადირიჯხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება, ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციების და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2021 წლის 13 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, 47-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზეც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2022 წლის 13 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2021 წლის 13 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკონსულთა წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, 47-ე გვერდის შემდეგ, კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზეც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.


ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2022 წლის 13 დეკემბერი

თბილისი, საქართველო



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,845	2,054
საინვესტიციო ქონება	7	2,394	2,535
აქტივები გამოყენების უფლებით	8	395	463
არამატერიალური აქტივები	9	46	31
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები	10	-	19
დამფუძნებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები (გრძელვადიანი ნაწილი)	11	2,194	1,702
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,874	6,804
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12	7,314	6,795
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	13	27,724	21,293
დამფუძნებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები (მიმდინარე ნაწილი)	11	132	43
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,515	1,505
სულ მოკლევადიანი აქტივები		36,685	29,636
სულ აქტივები		44,559	36,440
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3	3
გაუნაწილებელი მოგება		6,977	2,337
სულ საკუთარი კაპიტალი		6,980	2,340
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	8	267	192
გრძელვადიანი სესხები	15	2,080	1,843
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,347	2,035
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი	8	129	247
მოკლევადიანი სესხები	15	14,714	13,752
გადასახდელი დივიდენდები		1,070	782
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	19,285	17,234
ანარიცხები	17	34	50
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		35,232	32,065
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		44,559	36,440

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

შპს "მეგაკო"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021 დასრულებული წლისათვის	31.12.2020 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	18	161,784	127,015
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(97,913)	(84,152)
საერთო მოგება		63,871	42,863
გაყიდვებისა და სადისტრიბუციო ხარჯი	19	(50,857)	(36,056)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20	(4,780)	(3,934)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	21	(1,736)	(2,081)
სხვა მოგება (ნეტო)	22	247	1,046
მიმდინარე წლის მოგება		6,745	1,838
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		6,745	1,838

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	169,785	140,410
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი გადასახდელები	(163,273)	(133,144)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,512	7,266
გადახდილი პროცენტი	(2,128)	(1,970)
გადახდილი პროცენტი - იჯარები	(144)	(174)
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	4,240	5,122
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,698)	(1,654)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	102	21
გაცემული სესხები	(979)	(941)
გაცემული სესხებიდან მიღებული ძირი	172	8
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(3,403)	(2,566)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	69,836	54,972
სესხის ძირის დაფარვა	(68,637)	(55,337)
გადახდილი დივიდენდი	(955)	(314)
გადახდილი იჯარის ძირი	(1,029)	(1,090)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(785)	(1,769)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	52	787
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,505	776
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(42)	(58)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,515	1,505

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

შპს “მეგაკო”-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	3	1,551	1,554
2020 წლის სრული შემოსავალი	-	1,838	1,838
დივიდენდი	-	(1,052)	(1,052)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	3	2,337	2,340
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	3	2,337	2,340
2021 წლის სრული შემოსავალი	-	6,745	6,745
დივიდენდი	-	(2,105)	(2,105)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	3	6,977	6,980

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი


შპს "მეგაკო"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,845	2,054
საინვესტიციო ქონება	7	2,394	2,535
აქტივები გამოყენების უფლებით	8	395	463
არამატერიალური აქტივები	9	46	31
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები	10	-	19
დამფუძნებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები (გრძელვადიანი ნაწილი)	11	2,194	1,702
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,874	6,804
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12	7,314	6,795
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	13	27,724	21,293
დამფუძნებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები (მიმდინარე ნაწილი)	11	132	43
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,515	1,505
სულ მოკლევადიანი აქტივები		36,685	29,636
სულ აქტივები		44,559	36,440
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3	3
გაუნაწილებელი მოგება		6,977	2,337
სულ საკუთარი კაპიტალი		6,980	2,340
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	8	267	192
გრძელვადიანი სესხები	15	2,080	1,843
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,347	2,035
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მოკლევადიანი ნაწილი	8	129	247
მოკლევადიანი სესხები	15	14,714	13,752
გადასახდელი დივიდენდები		1,070	782
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	19,285	17,234
ანარიცხები	17	34	50
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		35,232	32,065
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		44,559	36,440

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი




შპს "მეგაკო"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021 დასრულებული წლისათვის	31.12.2020 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	18	161,784	127,015
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(97,913)	(84,152)
საერთო მოგება		63,871	42,863
გაყიდვებისა და სადისტრიბუციო ხარჯი	19	(50,857)	(36,056)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20	(4,780)	(3,934)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	21	(1,736)	(2,081)
სხვა მოგება (ნეტო)	22	247	1,046
მიმდინარე წლის მოგება		6,745	1,838
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		6,745	1,838

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი




შპს "მეგაკო"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	169,785	140,410
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის	(163,273)	(133,144)
გადახდილი გადასახდები	6,512	7,266
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(2,128)	(1,970)
გადახდილი პროცენტი	(144)	(174)
გადახდილი პროცენტი - იჯარები		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ნეტო	4,240	5,122
ფულადი სახსრები		
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,698)	(1,654)
ძირითადი საშუალებების შეძენა		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	102	21
მიღებული ფულადი სახსრები	(979)	(941)
გაცემული სესხები	172	8
გაცემული სესხებიდან მიღებული ძირი		
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო	(3,403)	(2,566)
ფულადი სახსრები		
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	69,836	54,972
მიღებული სესხი	(68,637)	(55,337)
სესხის ძირის დაფარვა	(955)	(314)
გადახდილი დივიდენდი	(1,029)	(1,090)
გადახდილი იჯარის ძირი		
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო	(785)	(1,769)
ფულადი სახსრები		
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო	52	787
ზრდა (შემცირება)		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,505	776
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით	(42)	(58)
გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,515	1,505

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი




შპს "მეგაკო"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	3	1,551	1,554
2020 წლის სრული შემოსავალი	-	1,838	1,838
დივიდენდი	-	(1,052)	(1,052)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	3	2,337	2,340
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	3	2,337	2,340
2021 წლის სრული შემოსავალი	-	6,745	6,745
დივიდენდი	-	(2,105)	(2,105)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	3	6,977	6,980

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 13 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

ჯგუფის დედა კომპანია - შპს „მეგაკო“ (კომპანია) დაარსდა 1995 წლის 26 დეკემბერს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 204875108). ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების დისტრიბუცია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., VI კვ., კორპ. 2, ბ. 2.

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

დამფუძნებლები	ფლობა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2020 წლის 31 დეკემბრისათვის
კახა გოგავა (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01030022617)	23.33%	23.33%
ირინე ხაზარაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01024001864)	15%	15%
სოფიო ხაზარაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01030003653)	15%	15%
კობა თაყაიშვილი (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01034005761)	11.67%	11.67%
მერაბ გაგუა (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01026008003)	11.67%	11.67%
ინგა სვანიძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01024055467)	11.67%	11.67%
გრიგოლ ლომთაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01022004370)	11.66%	11.66%

ჯგუფში დედა კომპანიის გარდა შედის ერთი შვილობილი კომპანია, რომლის დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 2.31-ში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 წარსადგენი ვალუტა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.4 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.5 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე და გაცემულ სესხებს.

2.6 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-3 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-13 შენიშვნა;

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.7 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და

სარგებელი; (ბ)ჯგუფმ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.8 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

2.9 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.10 ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2.11 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან

დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაყირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

აქტივის დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
დახლ-დანადგარები	2;
სატრანსპორტო საშუალებები	2 - 5;
მოწყობილობები	1 - 5;
საოფისე ტექნიკა და ავეჯი	3 - 5;
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

2.13 საინვესტიციო ქონება

ის აქტივები, რომლებიც ჯგუფს დროებით გამოუყენებელ მდგომარეობაში აქვთ და მათი მომავალი გამოყენების გეგმები ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, აღიარებულია როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით.

2.14 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10-6 წლის გაანგარიშებით.

2.15 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის ჯგუფიც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდში ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის და ვალდებულებას.

2.16 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონვის მეთოდის მიხედვით. თვითღირებულება მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს, მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.17 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.18 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარეცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც ჯგუფი მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.19 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი

სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.20 საწესდებო კაპიტალი.

ჯგუფის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით.

2.21 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.22 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.23 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა, ასევე ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2021 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი და 1 ევრო = 3.5040. (2020 წლის 31 დეკემბრის: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი და 1 ევრო = 4.0233 ლარი).

2.24 შემოსავლის აღიარება.

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.25 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს, გარდა სახელმწიფო სავალდებულო საპენსიო შენატანისა, არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.26 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტიების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

2.27 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.28 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება; და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის

ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალებადობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალებადობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვალებად პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების შეფასების პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების პერიოდი მოიცავს 1-7 წელს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი

ანაზღაურებით.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარის მიმართ გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

2.29 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს ჯგუფის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.30 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვის გაუქმების მიზნით.

2.31 კონსოლიდაცია

(ა) შვილობილი კომპანია

შვილობილი არის ყველა კომპანია, რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

2021 წლის 31 დეკემბრის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობს ერთად ერთ შვილობილ კომპანიას, რომლის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს მეგაკო თრეიდი	30/07/2012	30/07/2012	100%	საკვები პროდუქტების დისტრიბუცია საქართველოში	საქართველო

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდაჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე, ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას, რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

შპს „მეგაკო თრეიდი“ დაარსებულია შპს „მეგაკო“-ს მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა ჯგუფის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებები:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განიცემული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

საექვო ვალების რეზერვი. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორი აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 13).

დაკავშირებული კომპანიის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით სოლიდარული პასუხისმგებლობის აღება. 2019 წლის 14 ნოემბერს დაკავშირებული მხარის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიას თავდებობის ფარგლებში ნაკისრი აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობა. დაკავშირებული მხარის საბანკო საკრედიტო ხაზი გაცემულია 20 წლის ვადით, საკრედიტო ლიმიტი შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ თავდებობის ფარგლებში დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხის ნაშთებია: 175 და 658 ათასი ლარი, შესაბამისად. ამ თარიღებისათვის ჯგუფიდან არ გასულა არანაირი ეკონომიკური სარგებელი აღნიშნული სოლიდარული პასუხისმგებლობის ფარგლებში. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ კომპანიიდან და მისი შვილობილი კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემულ საკრედიტო ხაზის ფარგლებში აღებულ სესხებს. ამ მიზეზთა გამო, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანაზღაურებები.

4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2021 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – ფაზა 2 შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველებში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხოთ ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველებში, IBOR რეფორმის შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში სახელმძღვანელოს გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარეებს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.
- საბოლოო თარიღი ფაზა 1 შეღავათისთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: როდესაც ცვლილებები ხორციელდება შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.

დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: აღნიშნული შესწორება მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

შესწორების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა გამოყენების უფლების მქონე აქტივზე და არსებითი გავლენა არ მოახდინა საიჯარო ვალდებულებებზე და შემოსავლის ანგარიშგებაზე.

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16. თავდაპირველი შესწორება ითვალისწინებდა შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეეძლოთ აესახათ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე;
- საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენდა 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე, თუ არ იყო არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

2021 წლის მარტში საბჭომ გამოუშვა ცვლილება ფასს 16, რომელის მიხედვითაც ზემოთ განსაზღვრული თარიღი გაგრძელდა და შეიცვალა 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფმა/კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება გამოშვების თარიღამდე ნაადრევად თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და არც წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადადმდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს

ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული კომპანიის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; სამშენებლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. ‘დაფარვა’ განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში,

თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვებიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ელიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო

სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შერავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები

	მოწყობილო- ბები	დახლ- დანადგარები	საოფისე ტექნიკა და ავტო საშუალებები	სატრანსპორ- ტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება:						
2020 წლის 1 იანვრის	799	15,453	860	2,995	-	20,107
შემენა	35	1,359	20	237	-	1,651
გასვლა	(5)	-	-	(279)	-	(284)
2020 წლის 31 დეკემბრის	829	16,812	880	2,953	-	21,474
შემენა	31	2,379	23	208	59	2,700
გასვლა	-	-	(7)	(67)	-	(74)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	860	19,191	896	3,094	59	24,100
ცვეთა:						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	724	14,111	832	2,297	-	17,964
შემენა	77	1,327	37	299	-	1,740
გასულების დაგროვილი ცვეთა	(5)	-	-	(279)	-	(284)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	796	15,438	869	2,317	-	19,420
პერიოდის ცვეთა	60	1,559	26	263	1	1,909
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	(7)	(67)	-	(74)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	856	16,997	888	2,513	1	21,255
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	75	1,342	28	698	-	2,143
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33	1,374	11	636	-	2,054
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4	2,194	8	581	58	2,845

ქვემოთ მოცემული აქტივები დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით, სესხების დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა ნომერ 15-ში:

		სატრანსპორტო საშუალებები
წმინდა საბალანსო ღირებულება:		
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		18
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-

7. საინვესტიციო ქონება

ის აქტივები, რომლებიც ჯგუფს დროებით გამოუყენებელ მდგომარეობაში აქვს და მათი მომავალი გამოყენების გეგმები ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, აღიარებულია, როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით:

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,861
შეფასების საფუძველზე ღირებულების მატება	674
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,535
პერიოდის განმავლობაში გასხვისება	(280)
შეფასების საფუძველზე ღირებულების მატება	139
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,394

ზემოთ მოცემულ ცხრილში ასახული საინვესტიციო ქონება წარმოადგენს:

- ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე 4,200 კვ.მ ფართის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, ქ. ქუთაისში 499 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლს საერთო ფართობით 158,19 კვ.მ;
- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ 3 ბინას.

საინვესტიციო ქონება იჯარით არ არის გაცემული, ღირებულების მატება აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშში სხვა მოგება ზარალში.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ ბაზარზე მოპოვებული მტკიცებულებებზე დაყრდნობით ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის (მე-2 დონის მონაცემები - მონაცემები რომლებიც არ წარმოადგენენ დაკვირვების ქვეშ მყოფი აქტივის კვოტირებულ ფასებს, პირდაპირ ან არაპირდაპირ). გადაფასების ნამეტი ემატება სხვა მოგებას/ზარალს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მე-2 დონის სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შესადარისი გაყიდვების მეთოდის საფუძველზე. შესადარისი ქონების გასაყიდი ფასები შესაბამისად ჩასწორებულია შეფასებულ ქონების ძირითად მახასიათებლებთან განსხვავებების გამო. ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი შეფასების მიდგომაში არის ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე.

საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებით 2,044 და 1,933, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისათვის, შესაბამისად და სოფელ დიღომში მდებარე 4,200 კვ.მ ფართის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა დაყადაღებულია სასამართლო დავის ფარგლებში.

8. აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფი იჯარით იღებს ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებებს, ოფისს და ასევე, მიწასა და შენობა-ნაგებობებს საოპერაციო საქმიანობისათვის. იჯარის ხელშეკრულებები გაფორმებულია 2 და 7 წლით.

აქტივები გამოყენების უფლების ფორმით, ძირითადი ერთეულების კლასის მიხედვით, იშლება შემდეგნაირად:

	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება:			
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	710	2,710
დამატება	49	84	133
გასვლა	-	(159)	(159)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,049	635	2,684
დამატება	-	105	105
მოდIFIკაციის ეფექტი	871	-	871
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,920	740	3,660
ცვეთა:			
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	909	336	1,245
პერიოდის ცვეთა	914	177	1,091
გასულების აკუმულირებული ცვეთა	-	(115)	(115)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,823	398	2,221
პერიოდის ცვეთა	868	176	1,044
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,691	574	3,265
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,091	374	1,465
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	226	237	463
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	229	166	395

საერთო ფულადი გადინება იჯარებთან დაკავშირებით მოცემულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში. იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება, გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	2021	2020
1 იანვარი	439	1,440
შემოსვლა	105	133
საპროცენტო ხარჯი	145	136
გადახდა	(1,165)	(1,270)
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	872	-
31 დეკემბერი	396	439

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო და სხვა პროგრამები
ისტორიული ღირებულება	
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	254
შეძენა	5
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	259
შეძენა	20
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	279
ამორტიზაცია:	
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	216
პერიოდის ამორტიზაცია	12
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	228
პერიოდის ამორტიზაცია	5
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	233
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	38
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	46

10. გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები	-	968
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორების გაუფასურება	-	(949)
სულ გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები	-	19

ჯგუფის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფის ყველა არსებული და სამომავლო დებიტორული დავალიანება დაგირავებულია. დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 15-ში.

გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	2021 წ.	2020 წ.
1 იანვრის მდგომარეობით	949	967
რეკლასიფიკაცია მოკლევადიანში	(949)	-
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	-	(18)
31 დეკემბრის მდგომარეობით	-	949

11. დამფუძნებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები

გრძელვადიანი ნაწილი	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
დამფუძნებლებზე გაცემული სესხები	2,328	2,129
დამფუძნებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	(1,600)	(1,589)
დამფუძნებლებისგან მისაღები პროცენტები	1,411	960
თანამშრომლებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები	55	202
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები	2,194	1,702

დამფუძნებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	2021 წ.	2020 წ.
1 იანვრის მდგომარეობით	1,589	1,124
გადაანგარიშება მიმდინარე პერიოდისთვის	11	465
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,600	1,589

მოკლევადიანი ნაწილი:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	553	489
თანამშრომლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	(421)	(446)
სულ თანამშრომლებზე გაცემული სესხები (მოკლევადიანი)	132	43

თანამშრომლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	2021 წ.	2020 წ.
1 იანვრის მდგომარეობით	446	418
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	(25)	28
31 დეკემბრის მდგომარეობით	421	446

ნებისმიერი სახის მოთხოვნა ჯგუფის საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით დაგირავებულია.

12. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გასაყიდი საქონელი	7,245	6,766
სხვა მარაგები	69	29
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7,314	6,795

ჯგუფის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით დაგირავებულია ჯგუფის ყველა არსებული და სამომავლო სასაქონლო-მატერიალური მარაგი. დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 15-ში.

13. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (ნეტო)

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	32,515	24,678
საექვო ვალების რეზერვი	(5,358)	(3,770)
გადახდილი ავანსები	956	845
გადახდილი ავანსების რეზერვი	(499)	(512)
სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	110	52
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	27,724	21,293

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	3,770	3,559
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	1,588	211
31 დეკემბრის მდგომარეობით	5,358	3,770

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადახდილი ავანსების რეზერვის მოძრაობა:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	512	495
ხარჯის გამოყენება	6	48
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	(19)	(31)
31 დეკემბრის მდგომარეობით	499	512

ჯგუფის მიერ აღებული საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფის ყველა დებიტორული დავალიანება, არსებული და სამომავლო დაგირავებულია. დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 15-ში.

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	142	57
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,373	1,448
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,515	1,505

15. სესხები

	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი საბანკო სესხები	14,649	1,843
მოკლევადიანი საბანკო სესხები	2,080	13,687
გადასახდელი პროცენტები	65	65
სულ სესხები	16,794	15,595

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	31.12.2021	31.12.2020
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:		
1 წლის ვადაში	14,714	13,752
1-დან 3 წლამდე ვადაში	2,080	1,843
სულ	16,794	15,595

ჯგუფის საბანკო სესხების ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ჯგუფის მიერ ცალკეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, მათ შორის, სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნებისა და ბანკის ნებართვის გარეშე დივიდენდების გაცემის უფლების შეზღუდვა. ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ამ შეზღუდვების ნაწილი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის მენეჯმენტს მიღებული აქვს დასტური შესაბამის ბაკებიდან, რომელშიც ისინი აფიქსირებენ, რომ მათი მხრიდან არ მოხდება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხებზე არსებული ხელშეკრულებების პირობ(ებ)ის და/ან ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის დაფარვის თავდაპირველი კონტრაქტუალური გრაფიკის მოდიფიკაცია ან ხელშეკრულებათა მიხედვით განსაზღვრული ბანკის სხვა უფლებებთან გამოყენება.

ჯგუფის ყველა სესხი აღებულია ლარში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ბალანსის შედგენის თარიღებისათვის:

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2021	ლარში, %
საბანკო სესხი	11% -16 % ზღვარში
2020	ლარში, %
საბანკო სესხი	11% -16 % ზღვარში

ქვემოთ მოცემული აქტივები დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით:

ძირითადი საშუალებები:

	სატრანსპორტო საშუალებები
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-

პარტნიორებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების აქტივები ჩადებულია კომპანიის სესხების უზრუნველყოფაში.

ჯგუფის მარაგები და დებიტორების მიმართ ნებისმიერი სახის მოთხოვნა ჯგუფის საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით დაგირავებულია.

ჯგუფის მიერ წარდგენილია ერთ-ერთ თავის მომწოდებელზე საბანკო გარანტია თანხით 2,900. მომწოდებლის შესაბამისი დავალიანება შეადგენს 3,881 და 5,536 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისათვის, შესაბამისად. საბანკო გარანტიის პროცენტი 87.

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	16,378	15,457
გადასახდელი ხელფასები	840	395
გადასახდელი გადასახადები	1,286	742
მიღებული ავანსები	115	182
სხვა ვალდებულებები	666	458
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19,285	17,234

ჯგუფის მიერ წარდგენილია ერთ-ერთ თავის მომწოდებელზე საბანკო გარანტია თანხით 2,900. მომწოდებლის შესაბამისი დავალიანება შეადგენს 3,881 და 5,536 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისათვის, შესაბამისად. საბანკო გარანტიის პროცენტი 87.

17. ანარიცხები

ანარიცხები შექმნილია სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მხრიდან კომპანიის შესაბამისი პერიოდების შემოწმებების შედეგად სავარაუდო დამატებითი დარიცხვებისა და მიმდინარე და მოსალოდნელ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებულ მოსალოდნელი ზარალების კომპენსირების მიზნით. მათი შექმნის შესაბამისი ხარჯი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში. რეზერვების ჩაშლა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2021	31.12.2020
საგადასახადო ანარიცხი	34	50
სულ ანარიცხები	34	50

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ანარიცხების მოძრაობის ამსახველი ციფრები მოცემულია ქვემოთ:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	50	439
წლის ბოლოს გადანაგარიშება	(16)	(389)
31 დეკემბრის მდგომარეობით	34	50

18. შემოსავალი

	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	160,035	125,144
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,674	1,797
სხვა	75	74
სულ შემოსავალი	161,784	127,015

შემოსავალი, 2021 წელი:

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის, მომსახურების სახეები და სხვა			
შემოსავალი	160,035	1,749	161,784
საქონლის გაყიდვა	160,035	-	160,035
შემოსავალი მარკეტინგული/სარეკლამო			1,674
საქმიანობიდან	-	1,674	
სხვა	-	75	75
ხელშეკრულების ხანგრძლივობა	160,035	1,749	161,784
მოკლევადიანი	160,035	1,749	161,784
გრძელვადიანი	-	-	-
საქონლის გადაცემისა და მომსახურების გაწევის	160,035	1,749	161,784
ვადები	160,035	1,749	161,784
დროის გარკვეულ მომენტში	160,035	1,749	161,784
დროთა განმავლობაში	-	-	-
სულ შემოსავალი	160,035	1,749	161,784

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი, 2020 წელი:

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის, მომსახურების სახეები და სხვა			
შემოსავალი	125,144	1,871	127,015
საქონლის გაყიდვა	125,144	-	125,144
შემოსავალი მარკეტინგული/სარეკლამო			
საქმიანობიდან	-	1,797	1,797
სხვა	-	74	74
ხელშეკრულების ხანგრძლივობა	125,144	1,871	127,015
მოკლევადიანი	125,144	1,871	127,015
გრძელვადიანი	-	-	-
საქონლის გადაცემისა და მომსახურების გაწევის			
ვადები	125,144	1,871	127,015
დროის გარკვეულ მომენტში	-	-	-
დროთა განმავლობაში	125,144	1,871	127,015
სულ შემოსავალი	125,144	1,871	127,015

19. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
მარკეტინგის ხარჯი	32,333	20,691
შრომის ანაზღაურება	10,649	9,288
საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯი	2,271	1,556
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,885	1,722
გამოყენების უფლებით აქტივების ცვეთა	1,044	1,093
იჯარის ხარჯი	586	351
სხვა ხარჯები	2,089	1,355
სულ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	50,857	36,056

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	2,371	2,262
დებიტორული დავალიანების საექვო ვალების ხარჯი	640	194
საგადასახადო ხარჯი	544	422
შეკეთების ხარჯები	522	409
კომუნიკაციის ხარჯი	117	59
საბანკო ხარჯი	92	92
ცვეთა და ამორტიზაცია	29	77
დაზღვევა	13	43
გადახდილი ავანსების საექვო ვალების ხარჯი	6	17
საიჯარო ხარჯი	-	12
სხვა ხარჯი	446	347
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	4,780	3,934

21. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	563	549
სესხის საპროცენტო ხარჯი	(2,274)	(2,121)
სესხების გაუფასურების შედეგი	14	(493)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(39)	(52)
დისკონტირების შედეგი	-	36
სულ ფინანსური ხარჯი	(1,736)	(2,081)

22. სხვა მოგება (ნეტო)

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგი	139	674
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	136	275
საგადასახადო ანარიცხის (ზრდა)/შემცირება	76	(48)
ავანსების რეზერვის შემცირება	19	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(183)	42
სხვა მოგება	60	103
სულ სხვა მოგება (ნეტო)	247	1,046

23. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2021 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული ცვლილება	ვალდებულების აღიარება	დივიდენდის დარიცხვა განეტებული არასაბანკო ანგარიშწორე- ბით	2021 წლის 1 იანვარი
სესხი (პროცენტის გარეშე)	16,729	1,199	-	-	15,530
დივიდენდი	1,070	(955)	-	1,243	782
იჯარის	396	(1,029)	986	-	439
ვალდებულებები					
სულ	18,195	(785)	986	1,243	16,751

	2020 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული ცვლილება	ვალდებულების აღიარება	დივიდენდის დარიცხვა განეტებული არასაბანკო ანგარიშწორე- ბით	2020 წლის 1 იანვარი
სესხი (პროცენტის გარეშე)	15,530	(365)	-	-	15,895
დივიდენდი	782	(314)	-	416	680
იჯარის	439	(1,090)	104	-	1,425
ვალდებულებები					
სულ	16,751	(1,769)	104	416	18,000

24. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები.

პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა რომ, გარდა ანარიცხების ნაწილში აღიარებული სასამართლო საქმეებთან დაკავშირებულ ანარიცხისა, ჯგუფს მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება.

საგადასახადო კანონმდებლობა ზოგადად. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

დაკავშირებული კომპანიის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით სოლიდარული პასუხისმგებლობის აღება. 2019 წლის 14 ნოემბერს დაკავშირებული მხარის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიას თავდებობის ფარგლებში ნაკისრი აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობა. დაკავშირებული მხარის საბანკო საკრედიტო ხაზი გაცემულია 20 წლის ვადით, საკრედიტო ლიმიტი შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ თავდებობის ფარგლებში დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხის ნაშთებია: 175 და 658 ათასი ლარი, შესაბამისად. ამ თარიღებისათვის ჯგუფიდან არ გასულა არანაირი ეკონომიკური სარგებელი აღნიშნული სოლიდარული პასუხისმგებლობის ფარგლებში. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ კომპანიიდან და მისი შვილობილი კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული

კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემულ საკრედიტო ხაზის ფარგლებში აღებულ სესხებს. ამ მიზეზთა გამო, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

25. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი

ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	27,157	20,908
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	19
გაცემული სესხი		
დამფუძნებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები	2,326	1,745
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,373	1,448
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	30,856	24,120

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქიფების ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. ჯგუფის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნულის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. სავაჭრო მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საეჭვო ვალების რეზერვი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2021 წლის 31 დეკემბრისათვის:

	ვადიანი მოთხოვ ნა და 30 დღემდე ვადაგად აცილება	30-60 დღე ვადაგად აცილება	60-90 დღე ვადაგად დაცილე ბა	90-180 დღე ვადაგად დაცილე ბა	180 დღიდან 1 წლამდე ვადაგად აცილება	1 წელზე მეტი ვადაგად აცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	25,479	880	574	521	335	4,726	32,515
დამფუძნებლებზე გაცემული სესხები	709	-	-	-	-	3,739	4,448
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	263	-	-	-	-	55	318
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,373	-	-	-	-	-	1,373
სულ ფინანსური აქტივები	27,824	880	574	521	335	8,520	38,654
საექვო ვალების რეზერვი (დებიტორები)	634	38	48	119	156	4,363	5,358
დამფუძნებლებზე გაცემული სესხების გაუფასურება	709	-	-	-	-	1,600	2,309
თანამშრომლებზე გაცემული სესხების გაუფასურება	130	-	-	-	-	-	130
ნეტო ფინანსური აქტივები	26,351	842	526	402	179	2,557	30,857

2020 წლის 31 დეკემბრისათვის:

	ვადიანი მოთხოვ ნა და 30 დღემდე ვადაგად აცილება	30-60 დღე ვადაგად აცილება	60-90 დღე ვადაგად დაცილე ბა	90-180 დღე ვადაგად დაცილე ბა	180 დღიდან 1 წლამდე ვადაგად აცილება	1 წელზე მეტი ვადაგად აცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	17,495	1,034	1,415	560	280	3,894	24,678
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	-	-	-	-	968	968
დამფუძნებლებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-	2,267	2,267
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	489	-	-	-	-	64	553
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,448	-	-	-	-	-	1,448
სულ ფინანსური აქტივები	19,432	1,034	1,415	560	280	7,193	29,914
საექვო ვალების რეზერვი (დებიტორები)	47	60	44	69	125	3,425	3,770
საექვო ვალების რეზერვი (გრძელვადიანი მოთხოვნები)	-	-	-	-	-	949	949
დამფუძნებლებზე გაცემული სესხების გაუფასურება	-	-	-	-	-	1,589	1,589
თანამშრომლებზე გაცემული სესხების გაუფასურება	446	-	-	-	-	-	446
ნეტო ფინანსური აქტივები	18,939	974	1,371	491	155	1,230	23,160

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი (ლარში)	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	27,157	-	27,157
დაკავშირებულ მხარეებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები	2,326	-	2,326
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,448	-	1,448
სულ ფინანსური აქტივები	30,931	-	30,931
ვალდებულებები			
სესხი	16,729	-	16,729
საიჯარო ვალდებულება	396	-	396
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	15,466	912	16,378
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,591	912	33,503
წმინდა პოზიცია	(1,660)	(912)	(2,572)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი (ლარში)	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	20,908	-	20,908
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანება	19	-	19
დაკავშირებულ მხარეებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები	1,745	-	1,745
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,448	-	1,448
სულ ფინანსური აქტივები	24,120	-	24,120
ვალდებულებები			
სესხი	15,595	-	15,595
საიჯარო ვალდებულება	439	-	439
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	15,457	473	15,930
სულ ფინანსური ვალდებულებები	31,491	473	31,964
წმინდა პოზიცია	(7,371)	(473)	(7,844)

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31 დეკემბერი 2021 წ.	
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(182)	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	182	-

	31 დეკემბერი 2020 წ.	
	ზეგავლენა მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(95)	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	95	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. გარდა ქვემოთ მოცემული სესხისა, ჯგუფის მიერ გაცემული და მიღებული სესხები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთიანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯოგია ჯგუფისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. ქვემოთ მოცემულია იმ ფინანსური აქტივებისა საბალანსო მონაცემები, რომლებიც ექვემდებარება ამ რისკს:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხი	16,729	15,530
გაცემული სესხები (ნეტო, პროცენტის გარეშე)	915	785

ცვალებადგანაკვეთიანი სესხი - 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრისათვის ცვალებადგანაკვეთიანი პროცენტის მქონე სესხების ნაშთები შეადგენს 5,000 და 4,747, შესაბამისად. ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული ცვალებადი, ბანკის მიერ განსაზღვრული დანამატის ჯამით. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი სახით გაანგარიშებული ჯამური საპროცენტო განაკვეთის ოდენობა არ შეიძლება იყოს 13 %-ზე დაბალი და ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს + 7 %-ზე მაღალი. ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. ჯგუფი იყენებს სახელმწიფო სუბსიდირებას რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ლიკვიდურობის რისკის ცხრილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს, რის გამოც ისინი შესაძლოა არ ედრებოდეს საბალანსო უწყისში ასახულ თანხებს:

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნის თანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა	16,378	-	-	-	16,378
კრედიტორული დავალიანება					
სესხი	13,740	909	2,080	-	16,729
საიჯარო ვალდებულებები	59	70	267	-	396
სულ მომავალში გადასახდელები	30,177	979	2,347	-	33,503

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნის თანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა	15,457	-	-	-	15,457
კრედიტორული დავალიანება					
სესხი	12,325	1,783	2,060	-	16,168
საიჯარო ვალდებულებები	162	91	186	-	439
სულ მომავალში გადასახდელები	27,944	1,874	2,246	-	32,064

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ისწრაფვის, შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომლის უზრუნველყოფას ჯგუფი უმთავრესად გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

26. კაპიტალის მართვა.

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ჯგუფი ექვემდებარება გარეშე სუბიექტის შეზღუდვებს კაპიტალზე. ჯგუფის საბანკო სესხების ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ჯგუფის მიერ ცალკეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, მათ შორის, სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნებისა და ბანკის ნებართვის გარეშე დივიდენდების გაცემის უფლების შეზღუდვა. ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ამ შეზღუდვების ნაწილი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის მენეჯმენტს მიღებული აქვს დასტური შესაბამის ბაკებიდან, რომელშიც ისინი აფიქსირებენ, რომ მათი მხრიდან არ მოხდება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხებზე არსებული ხელშეკრულებების პირობ(ებ)ის და/ან ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის დაფარვის თავდაპირველი კონტრაქტუალური გრაფიკის მოდიფიკაცია ან ხელშეკრულებათა მიხედვით განსაზღვრული ბანკის სხვა უფლებებთან გამოყენება.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

27. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები); რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივების ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	
აქტივები	
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,373
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	27,157
- დაკავშირებულ მხარეებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები	2,326
სულ ფინანსური აქტივები	30,856

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივების ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	
აქტივები	
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,448
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	20,908
- გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანება	19
- დაკავშირებულ მხარეებსა და თანამშრომლებზე გაცემული სესხები	1,745
სულ ფინანსური აქტივები	24,120

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები და მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები
დამფუძნებლებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები	2,397	-
დამფუძნებლებზე გაცემული მოკლევადიანი სესხები	62	-
დამფუძნებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	(1,600)	-
დამფუძნებლებზე გაცემული სესხებიდან მისაღები პროცენტები	1,426	-
გადასახდელი დივიდენდები	1,070	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	92	120
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	-	524
გადასახდელი ხელფასი	284	-
რეალიზაცია	18	3
შესყიდვები	-	894
იჯარა	2,105	-
დარიცხული დივიდენდი	525	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	1,106	-

შპს“მეგაკო” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები და მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები
დამფუძნებლებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები	2,129	-
დამფუძნებლებზე გაცემული მოკლევადიანი სესხები	72	-
დამფუძნებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	(1,589)	-
დამფუძნებლებზე გაცემული სესხებიდან მისაღები პროცენტები	973	-
გადასახდელი დივიდენდები	782	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	63	120
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	-	302
წინასწარ გადახდილი ხელფასი	21	-
რეალიზაცია	23	2
შესყიდვები	-	406
იჯარა	-	814
დარიცხული დივიდენდი	1,053	-
საპროცენტო შემოსავალი	485	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	1,198	-

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული გარანტიის დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 24-ში.

29. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა, 2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში:

- 2022 წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ გაცემულია სესხი 5,8 მლნ. ლარის ოდენობით, 60 თვის ვადით, თავის ერთ-ერთ მომწოდებელზე, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 13 დეკემბერს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „მეგაკო“-ს კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით საკითხებს, როგორიცაა: საქმიანობის შინაარსი, კომპანიაში არსებული სტანდარტები, ის არსებული და სამომავლო გამოწვევები, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორები იქნება კომპანიის განვითარებისთვის.

ამასთან, დოკუმენტში მოცემულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმებისა და იმ გამოწვევებისა და რისკების მიმართ, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საოპერაციო საქმიანობის წარმართვისას.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს “მეგაკო” დაარსდა 1996 წელს და მას შემდეგ მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა კვების პროდუქციის დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც საცალო, საბითუმო და ქსელურ მარკეტებში, ასევე, ე.წ. HORECA ს ქსელში.

კომპანიის დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები, რომლებიც წარმოადგენენ სრულად 100% ის მფლობელ პარტნიორებს:

- მერაბ გაგუა - 11.67%
- ირინე ხაზარაძე - 15 %
- კობათაყაიშვილი - 11.67%
- გრიგოლლომთაძე - 11.66%
- სოფიოხაზარაძე - 15%
- კახა გოგავა - 23.33%
- ინგა სვანიძე - 11.67%

კომპანიის მმართველ პარტნიორს წარმოადგენს კახა გოგავა.

1996-2008 წლის მარტამდე იგი წარმოადგენდა “Wrigley” ს დისტრიბუტორს, ხოლო 2005 წლის სექტემბრიდან კომპანია გახდა “Kraft Foods Ukraina” და “Kraft Foods Rus” დისტრიბუტორი. სწორედ Kraft Foods- სგან ჯაკობსის ყავის ბრენდის შეძენის შემდეგ გახდა ჩვენი კომპანია ისეთი ძლიერი კომპანიების პარტნიორი, როგორიცაა: Mondeliz Georgia და Jacobs Douwe Egberts (JDE). ჩვენ წარმოვადგენთ აღნიშნული კომპანიების დისტრიბუტორებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. პროდუქცია, რომელიც წარმოადგენილია ჩვენი კომპანიის პორტფელში წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიან სახეობებს, რომელიც მომხარებელშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. (პროდუქციის ჩამონათვალი იხილეთ დანართის სახით).

გარდა აღნიშნული კომპანიებისა, ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვა მომწოდებლებთან, რომელთა პროდუქცია საკამოდ ცნობილია უკვე ბაზარზე, ესენია : ბრენდი „სოლედო“ კონსერვაცია, „ჩუმაკი“ ბაკალეა, „ალანი“ ძეხვეული „კრილა“ „ჰიგიენური საშუალებები და სხვა

ჩვენი ბოლო შიდა კვლევებით და ასევე ჩვენი პარტნიორი კომპანიების მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ადგილობრივ ბაზარზე ჩვენი სხვადასხვა მიმართულების პროდუქციის წილი ანალოგიურთან მიმართებაში მერყეობს 40%-დან 60%-მდე.

კომპანიის საქმიანობა

შპს „მეგაკო“ წარმოადგენს კვების პროდუქტების სადისტრიბუციო სფეროში ერთ-ერთ მოწინავე და ძლიერ სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც ორიენტირებულია სრული სადისტრიბუციო მომსახურების განხორციელებაზე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. კომპანიის მიზანია - იყოს პატიოსანი და სანდო პარტნიორი და მიაწდოს მომხმარებელს ხარისხიანი პროდუქცია და მომსახურება.

დასახული მიზნის შესრულებას კომპანიაში, ხელს უწყობს ძლიერი მატერიალურ ტექნიკური ბაზა - სატრანსპორტი საშუალებების, პროგრამული უზრუნველყოფების სახით და ფილალების ქსელის განვითარებული სისტემა.

კომპანიის ცენტრალური სასაწყობო და საოფისე ფართი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და განთავსებულია ერთ ტერიტორიაზე. საერთო ფართი შეადგენს 6,052 მ/კვ; სასაწყობო ფართი 3,774 მ/კვ; საოფისე ფართი 757 მ/კვ; ავტოსადგომის ფართი 1,520 მ/კვ გარდა ამისა საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 4 ოპერატიული ფილიალი, რომლებიც დაფარვის მიხედვით მოიცავენ მთელი საქართველოს ტერიტორიას. კომპანიაში დასაქმებულია 460 თანამშრომელი, რომელიც მოიცავს მთელს საქართველოს და განაწილებულია თავისი ფუნქციონალის მიხედვით. ფილიალების სისტემა განვითარებულია ისეთი სახით, რომ ადგილზე მიიღებოდეს ყველა საჭირო გადაწყვეტილება, სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. როდესაც ვსაუბრობთ, ხარისხიან მომსახურებაზე, აქ მნიშვნელოვანიწილად იგულისხმება პროდუქციის დროული და სრული მიწოდება დანიშნულების ადგილზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც სრული დაფარვით ხორციელდება. ყველა ფილიალში მოქმედებს უნიციფირებული სტრუქტურა, რომელიც ანალოგია ცენტრალური ოფისის და მოიცავს: საწყობს, სამანქანო ავტოსადგომებს და ოფისს. ხოლო სტრუქტურა მოიცავს მმართველობის ყველა რგოლს: მენეჯერიდან - საწყობის მუშა მოსამსახურემდე. ფილიალების არსებობა, ერთის მხრივ, ამარტივებს გადაწყვეტილებების ადგილზე მიღების სისწრაფეს, სიტუაციიდან გამომდინარე და მეორეს მხრივ, საშუალებას აძლევს კომპანიას მოხადინოს მიწოდების ჯაჭვის სრული კონტროლი. (ფასები, მიღების დრო და სხვა).

კომპანიის სადისტრიბუციო მოდელი ეფუძნება მატრიცულ სისტემას, რომელიც მომსახურების ეფექტურობას ზრდის. პორტფელში არსებული პორდუქტების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ხდება როგორც შეკვეთის ე.წ. van sale და pre sale მეთოდების გამოყენება, ასევე ადაპტირებულია მათი - შერეული ვარიანტიც. აქვე რა თქმა უნდა მოქმედებს, მიტანის გამართული სერვისის საშუალო ტევადობის ავტომატების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ჩვენი კომპანიის მიერ დისტრიბუცია ხორციელდება „დისტრიბუციის მესამე დონის“ მიხედვით, რომელიც მოიცავს მასში მონაწილე სუბიექტების მთლიან ჯაჭვს, რაც შესაძლებელია ასე წარმოვიდგინოთ: მომწოდებელი/მწარმოებელი-სადისტრიბუციო კომპანია-მსხვილი საბითუმო წერტილები - საცალო და ქსელური სავაჭრო წერტილები - საბოლოო მომხმარებელი.

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად პასუხობს კომპანიის მისიას და გამოწვევებს და სტრუქტურულად მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება: გაყიდვების გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია დასახული გეგმების შესრულებაზე და ადმინისტრაციული გუნდისაგან, რომელიც მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს გაყიდვების გუნდს მთავარი მიზნის შესრულებაში.

მყარი ფინანსური რესურსების არსებობა, რა თქმა უნდა, არის ის კომპონენტი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას შესრულოს მასზე დაკისრებული ფინანსური ვალდებულებები, როგორც მომწოდებელ კომპანიებთან, ასევე სხვა მესამე პირებთან. კომპანიაში არსებული ძალიან კარგად და მოხილვად აწყობილი გადახდის სისტემები ამის სრულ საშუალებას იძლევა. ცალკე აღსანიშნავია, არსებული ძლიერი ბიუჯეტირების სისტემა, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, რომელიც იმლება სასაქონლო ნომენკლატურის დონემდე და შემდეგ შედეგების ყოველთვიურ ანალიზს. აღნიშნული ბიუჯეტირება ხდება პარტნიორ კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად და მუშავდება მთელი წლის სტრატეგია. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ კომპანია თავის არსებობის ბოლო 10 წლეულის მანძილზე ყოველთვის ასრულებდა თავის დადგენილ გეგმებს და მიზნებს, რაც სამომავლო განვითარების ძლიერ საფუძველს წარმოადგენდა. კომპანიის შიგნით დადგენილი როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ძირითადი ე.წ. KPI სები, წარმოადგენს ერთ-ერთ ინდიკატორს მიღწეული მიზნების გაზომვაში, სადაც ბოლო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი გადახრები არ ფიქსირდება და არის დაგეგმილის ფარგლებში.

გაყიდვების ჯგუფის მხარდაჭერის ძლიერი ელემენტია IT მხარდაჭერა. კომპანიის გაყიდვების წარმომადგენლები სარგებლობენ "SoftServe" პროგრამული უზრუნველყოფით SalesWork DMS (ე.წ. "Pocket"), რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სამუშაო პროცესს და ამცირებს ვადას პროდუქციის შეკვეთასა და მიწოდებას შორის. ასევე არსებული გამართული 1ც სისტემა და პოკეტების არსებობა საშუალებას იძლევა ონლაინ რეჟიმში მოხდეს შეკვეთების აღება და შემდეგ უკვე მისი ანალიზი, დამუშავება და მიტანისათვის გამზადება. აქ მნიშვნელოვან ფაქტორს თამაშობს, ასევე სახელმწიფო და საგადასახადო რეგულირების სისტემები, რომელთა მიმართ სრულ სინქრონიზაცია არსებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები და სრულად პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

აქვე აღსანიშნავია აუდიტის სამსახური, რომელიც მაქსიმალურად ეფექტურა ახერხებს ქსელში არსებული პრობლემების სწრაფ და სწორ იდენტიფიკაციას და შემდეგ ისეთი ქმედებების განხორციელებას, რაც არ აზარალებს კომპანიას და მის თანამშრომლებს. ეს რგოლი კიდევ ერთი კარგი საშუალებაა გაყიდვების გუნდისათვის, რომ მოახდინოს თანხების ვერ ამოდების რისკების მინიმალიზაცია.

როგორც გასულ წელს აღვნიშნეთ, 2018 წელს კომპანიაში ჩაეშვა და წარმატებით გაიტესტა, დებიტორული დავალიანების კონტროლის ავტომატური სისტემა, რომელიც უკვე 2019 წლიდან გამართულად ფუნქციონირებს და

შპს “მეგაკო”-ს მმართველობითი ანგარიში



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


საცალო მომხმარებლის კუთხით საკონტრაქტო პირობების კონტროლის კარგ საშუალებად ჩამოყალიბდა. ეს სისტემა უზრუნველყოფს ოპტიმალური დებიტრული დავალიანების შეფარდების კონტროლს გაყიდვებთან მიმართებით.

აქვე დაწერულია და მუშაობს, დებიტორის მართვისთვის კლიენტების რანჟირების სისტემა, რომლიც ამარტივებს მიდგომას დებიტორული დავალიანების მიმართ.

ბაზრის მიმოხილვა

საქსტატის მონაცემებით, ვაჭრობის დარგი (NACE 2 საქმიანობის კოდი G, H) ზოგადად ბოლო 2 წლის და 2022 ნახევარი წლის განმავლობაში შეადგენს მშპ-ს 20%-22%, რაც დაახლოებით 11-12 მლრდ ლარის ტოლია, სადაც ძალიან დიდი წილი სწორედ დისტრიბუციას უჭირავს.





ეს დარგი ბოლო პერიოდში ხასიათდება საკმაოდ საინტერესო ტენდენციებით, საიდანაც გამოსაყოფია კომპანიების გამსხვილების ტენდენცია. შედარებით მსხვილი კომპანიების როგორც მატერიალური, ასევე საკადრო რესურსები, გაკვეთილიდან სჯობნის წვირილ კომპანიებს და ხდება მათი ან შერწყმა ან ბრდენების გადანაწილება. ზოგადად დარში შესვლის ბარიერები იზრდება იმ კუთხით, რომ გარდა მძლავრი პროგრამული უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა, ერთ-ერთ მთავარ და ამომავალ წერტილს წარმოადგენს პორტუგალია/ბრენდი, რომელიც მისდები იქნება მომხმარებლისათვის როგორც ხარისხის, ასევე ფასის კუთხით. ამიტომ დღისათვის სწორედ ამ მიმართულებით ხდება კომპანიების ფოკუსირება, რომ მოხდეს მათ პორტუგალიაში, რაც შეიძლება მეტი კარგი და ახალი პროდუქციის დამატება და ამით ერთის მხრივ, მომხმარებლისთვის დამატებითი ღირებულების შექმნა და მეორეს მხრივ, ე.წ. bargaining power.

შვილობილი კომპანია

გამომდინარე იქიდან, რომ სადისტრიბუციო ბაზარი წარმოადგენს საკმაოდ ცვალებად სფეროს კომპანიის განვითარების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ახალი ბრენდების დამატება და მათი შეთავაზება მომხმარებლისათვის. ამ მიზნით შექმნილია 100%-ით სრულად შპს მეგაკოს მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანია, შპს მეგაკო თრეიდი, რომელიც თავის მხრივაც წარმოადგენს კვების პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების იმპორტიორ და დისტრიბუტორ კომპანიას. აღნიშნული შვილობილი კომპანია წარმოადგენს დედა კომპანიის მსგავსი სტრუქტურის ფორმას, რომელიც უკვე თავისი მხრივ, ავითარებს სხვა ბრენდებს. მთავარი მონაპოვარი ამ ორი კომპანიის არსებობის არის ის სინერგიული ეფექტი, რომ შესაძლებელი ხდება საკმაოდ დიდი პორტფელის შეთავაზება მომხმარებლისათვის, რაც თავისი მხრივ აძლიერებს ცნობადობას და კომპანიის მდგომარეობას ბაზარზე.

2012 წლიდან დღემდე მეგაკო თრეიდი ჩამოყალიბდა, როგორც გამართული სტრუქტურისა და რესურსების მქონე, სანდო რეპუტაციის მქონე სადისტრიბუციო კომპანია, სადაც დასაქმებულია 140 ადამიანი და ისევე, როგორც დედა კომპანია, მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს მის პაკეტში არსებული პროდუქციის დისტრიბუციას. მის სტრუქტურულ ერთეულში შედის 4 ფილიალი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და თბილისის ცენტრალური ბაზა რაც საშუალებას იძლევა გამართულად და სწრაფად მუშობდეს ლოჯისტიკური

და ადმინისტრაციული პროცესები. კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სეგმენტის, პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას მათ შორის ბრენდი „სოლედო“ კონსერვაცია, „ჩუმაკი“ ბაკალეა, „ალანი“ ძეხვეული „კრიალა“ ჰიგიენური საშუალებები და სხვა

თავის მხრივ შვილობილი კომპანია, მეგაკო თრეიდი ორიენტირებულია ზრდა განვითარებაზე, 2021 წელს მიუხედავად რთული პანდემიური პერიოდის და მკაცრი რეგულაციებისა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მნიშვნელობანი ეკონომიკური მაჩვენებლების რყევები, კომპანიამ მოახერხა სწორი კურსის შენარჩუნება და 2021 წელს რეალიზაციის ზრდამ შეადგინა 22% 2020 წელთან შედარებით.

კომპანია წარმატებით ახორციელებს ადგილობრივი და იმპორტირებული ბრენდების განვითარებას და ბაზარზე ზრდის პროცესს. ასევე უწყვეტად განიხილავს ახალ შემოთავაზებებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდილია ბოლო პერიოდში, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ბაზრებიდან, რას ასევე ხაზს უსვამს კომპანიის სანდოობას.

ვინაიდან რადგანაც სადისტრიბუციო კომპანია „მეგაკო თრეიდი“ შეიქმნა უდიდესი გამოცდილებისა და რესურსის მქონე დედა კომპანიის ბაზაზე, მას აქვს ზუსტად განსაზღვრული სტრატეგია, სრულად დაკომპლექტებულია გამოცდილი კადრებით და დახვეწილი ტექნოლოგიური და ექსპორტ-იმპორტისთვის საჭირო პროცესი.

მომხმარებლები

მომხმარებელთა ბაზა ძალიან მრავალრიცხოვანია, რომელიც დახლოებით 12 000 ობიექტს ითვლის. ესენია არიან, როგორც მიკრო და მცირე, ასევე საშუალო, მსხვილი და ქსელური ობიექტები. აქედან გამომდინარე გარკვეულწილად ბაზარი დივერსიფიცირებულია და არ წარმოადგენს რამოდენიმე მომხმარებელზე კონცენტრირებულ სფეროს. თუმცა უნდა აღინიშნოს ბოლო პერიოდის ტენდენციები, როცა ხდება ქსელური მარკეტების განვითარება და ეს თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს თვითონ დისტრიბუციის როლის და სტრუქტურის განვითარებაზე.

2019 წლიდან კიდევ უფრო გაიზარდა ორგანიზებული ვაჭრობის წილი და ეს თავის მხრივ დამატებითი გამოწვევაა კომპანიისათვის, რომ უზრუნველყოს მისი სტრუქტურის და ფინანსური მოდელის მორგება ბაზრის კონიუქტურაზე.

რისკ-ფაქტორები

ქსელში არსებული დებიტორული დავალიანების კონტროლის გართულება

2019 წლიდან კიდევ უფრო მეტად არის გართულებული ეს საკითხი. დიდი ქსელების განვითარების პრაქტიკულად ხდება მცირე და საშუალო ტიპის მაღაზიების რეალიზაციების შემცირება და მათი გადახდისუნარიანობის კლება, რაც ერთ-ერთ გამოწვევად რჩება დისტრიბუციის სფეროში. შესაბამისად ასეთი სავაჭრო ობიექტები, შემდეგ ვეღარ ახდენენ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას და ხშირ შემთხვევაში რჩებათ გარკვეული დავალიანებები კომპანიის მიმართ, რისი მართვაც საკმაოდ დიდ რესურსებთან და დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამასთან, საკანონმდებლო ბაზაც ბოლომდე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სასამართლოს გზით სრულად მოხდეს ვალდებულებების ამოღება.

კონტრაბანდა, უკანონო შემოსავლები

ისევე, როგორც 2020 წელს, 2021 წელსაც, გამოწვევად რჩება კონტრაბანდა და უკანონო შემოსავლები. ჩვენი კომპანია მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, რაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის და ჩვენი რეპუტაციისათვის. ჩვენთვის პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს რაიმე კონტრაბანდული გზებით ჩვენი პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შესაბამისად ამ მხრივ რაიმე ეჭვის ან გარკვეული ფაქტების არსებობის შემთხვევაში კომპანია ყოველთვის მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის.

სამომავლო გეგმები

შემდეგი წლისთვის დაგეგმილია შემოსავლების და მომგებიანობის ზრდა.

- შემოსავლების ზრდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით.
როგორც წინა პერიოდში აღვნიშნეთ, დავიწყეთ service level-ის პროექტზე მუშაობა. გაანალიზდა მომსახურების დონის შემადგენელი კრიტერიუმები, მათი შესწავლა/შეფასება/დათვლის კრიტერიუმები, პროგრამული აწყობა/მოწყობა და მათი ექსპლუატაციაში ჩაშვების ვადები.
ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესებით შემოსავლების ზრდის სერიოზულ მაჩვენებლებს ველოდებით.

- მომგებიანობის ზრდა საბრუნავი კაპიტალის კომპონენტების მართვის შედეგად.
შემოსავლების ზრდა მომგებიანობის ზრდის ერთ-ერთი კომპონენტია, თუმცა ასევე არსებული ხარჯების ოპტიმიზაცია დამატებით მოგების მომტანია. ჩვენი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, საბრუნავი კაპიტალის ეფექტური მართვა ხარჯების მართვის ტოლფასია. სამომავლო გეგმებში მარაგის დონის, ქსელში კონსიგნაციის მართვის საკითხები კომპანიის ტოპ პრიორიტეტებში ზის.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „მეგაკოში“ დასაქმებულია 460 ადამიანი, ხოლო შპს „მეგაკო თრეიდი“ – 140 თანამშრომელი. რა თქმა უნდა, კომპანია ყოველთვის მოწადინებულია ჰყავდეს მოტივირებული და მონდომებული თანამშრომლები, შესაბამისად შერჩევისას სწორედ ასეთებზე კეთდება აკცენტირება. ჩვენი კომპანიის საქმიანობის სწორად წარმართვაში და მის წარმატებულ მოღვაწეობაში უდიდესი როლი უკავია საკადრო რესურსს. ამასთან, კომპანიაში არსებული კადრების განვითარების და მოტივაციის სისტემების და დაბალი როტაციის არსებობა, საშუალებას, იძლევა გაერთიანდეს საერთო ძალისხმევა დასახული მიზნის მისაღწევად.

სწორედ ამის მიზეზია, რომ ჩვენი კომპანიის მთავარ მიღწევას წარმოადგენს ძლიერი გუნდი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა ადგილობრივ ბაზარზე.

შრომითი გარემო და უსაფრთხოება

გამომდინარე იქედან, რომ კომპანია უდიდეს როლს ანიჭებს თანამშრომლების წარმატებას და მოტივაციას ცდილობს, შექმნას მაქსიმალურად კომფორტული გარემო მათი განვითარებისათვის. ამის დასტურია, სწორედ რეგულარული ტრენინგების დასწავლებების სისტემები, რაც დიდი ხანია არსებობს ჩვენს კომპანიაში. ასევე ძალიან აქტიურად ვიყენებთ თანამშრომელთა ე.წ Team Buildingს, რაც კიდევ უფრო ზრდის ჩვენს გუნდურობას.

შრომის კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, რომელიც სავალდებულო შეასასრულებელია ყველა კომპანიისათვის ჩვენთვის წარმოადგენს მთავარ ამოსავალს, რათა არ მოხდეს დასაქმებულის ინტერესების შელახვა და შრომითი უსაფრთხოების წესების დარღვევა.

შრომის კანონმდებლობასთან მაქსიმალური სინქრონიზაციის და შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შექმნილია კომპანიის შიდა განაწესის და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების დებულებები, რისი მკაცრად დაცვა სავალდებულოა როგორც დასაქმებულის, ასევე - დამსაქმებლის მიერ.

კომპანია ასევე მკაცრად იცავს იმ შრომით უსაფრთხოების ნორმებს და მოთხოვნებს, რომელიც უკვე საკონონმდებლო ბაზის სახით ჩამოყალიბდა და ხდება მისი მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან. დაქირავებულია კონტრაქტორი კომპანია, რომელიც ყოველთვიურად ახდენს არსებული შრომითი უსაფრთხოების ნორმების შემოწმებას და მათ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის რეკომენდაციების გაცემას, რომელიც ჩვენის მხრიდან არის სრულად გავთვალისწინებული და ხდება დაფიქსირებული ხარვეზის სწრაფი აღმოფხვრა.

შპს “მეგაკო”-ს მმართველობითი ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2021 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2022 წლის 13 დეკემბერს.

ბნ. კახა გოგავა, დირექტორი

შპს "მეგაკო"-ს მმართველობითი ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2021 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2022 წლის 13 დეკემბერს.

ბნ. კახა გოგავა, დირექტორი

